# ზოგადი სფეროს აუდიტორი

## ილარიონ ხოსიტაშვილი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი- SARAS-A-552175 საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს აუდიტორის სერთიფიკატი ზ№6/049, ლიცენზია აუდიტორულ საქმიანობაზე ზ№026, ძირითადი ფონდების გადაფასების მოწმობა №001

ტ: 593-98-44-64
2-52-71-89


12 ივლისი 2017წ

## აუდიტორული დასკვნა

საქართველოს ზოგადი სფეროს დამოუკიდებელმა აუდიტორმა ილარიონ ხოსიტაშვილმა (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი- SARAS-A-552175 საქ. პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი 8№6/049, ამავე საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზია აუდიტორიულ საქმიანობაზე 8№026 ძირითადი ფონდების გადაფასების მოწმობა №001) სსიპ. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბიწმენდის საჯარო სკოლის დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოვახდინე სკოლის შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ხარჯების გაანგარიშება საბაზრო ფასების გათვალისწინებით. (უძრავი ქონება მდებარეობს: მცხეთის რაიონი სოფ. ბიწმენდი ს/კ 72.04.01.145).

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის მიხედვით დემონტაჟს ექვემდებარება სსიპ. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბიწმენდის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსი.

### საექსპერტო დასკვნა

ჩემს მიერ ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად დავრწმუნდი, რომ სსიპ. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბიწმენდის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსი არის 2 სართულიანი იგი აშენებულია 1943-1951 წლებში. შენობა არის მართკუთხედის ფორმის, ზომებით 10 X 29 მ.

შენობის კედლები აშენებულია რიყის ქვით, ზოგიერთ ადგილებში კუთხეები ამოყვანილია წითელი აგურით, ფასადის მხრიდან არსებული დერეფანი ხისაა (შუშაბანდით) შენობის დახურვა, სხვენი და სართულებ შორის გადახურვის კონსტრუქციები არის ხის. სახურავის ჩონჩხი ხის კონსტრუქციებით და გადახურულია აზბესტცემენტის შიფერით. შენობის კედლები დაბზარულია, დერეფნის კედლები დეფორმირებულია, დახურვის კონსტრუქციები ამორტიზირებულია მთლიანად საკლასო ოთახებში ჭერები ჩამოწეულია.

აღნიშნული შენობა-ნაგებობა აღდგენას არ ექვემდებარება და საჭიროა მისი დემონტაჟი.

დასკვნითი ნაწილი

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის შედგენილი პროექტის მიხედვით ჩემს მიერ გაანგარიშებული იქნა სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულება.

| № | ხარჯები | ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მუშები - 4 | დღე | 30 | 25 | 3 000 |
| 2 | ამწეკრანი | დღე | 4 | 500 | 2 000 |
| 3 | ექსკავატორი | დღე | 10 | 400 | 4 000 |
| 4 | თვითმცლელი სატვირთო | დღე | 10 | 250 | 2 500 |
| 5 | კომპრესორი | დღე | 10 | 80 | 800 |
| | | | | ჯამი | 12 300 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები 5% | | | | 615 |
| | | | | | 12 915 |
| | მოგება 10% | | | | 1 291 |
| | | | | | 14 206 |
| | დღგ 18% | | | | 2557 |
| | | | | ჯამი | 16 763 |

სულ სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 16 763 (თექვსმეტიათასშვიდასსამოცდასამი) ლარი.

სკოლის დემონტაჟის შედეგად მიღებული ნარჩენებიდან, მეორადი მოხმარებისთვის სამშენებლო მასალები არ გამოდგება.

სკოლის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების ღირებულებამ შეადგინა 0 (ნული) ლარი.

ზოგადი სფეროს აუდიტორი ი. ხოსიტაშვილი